სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა №29

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის დაზუსტებული ვარიანტის დამტკიცება (მომხსენებელი – სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი), დანართი №1; №1.1. – №1.10);

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ადმინისტრაციის, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის, დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისა და შტატგარეშე მომუშავე თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების მატების საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი – სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი), დანართი №2; №3.)

3. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული მე-6 სასწავლო კორპუსის (მ.კოსტავას ქ. №77) შენობის ფასადზე არსებული 56.0 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება (აღნიშნული ფართი გაიცემა სარეკლამო საქმიანობის მიზნით, 10 წლის ვადით. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);

4. ინფორმაციის სახით სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნება შემდეგი საკითხები:

ა) კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის გეგმა;
ბ) საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შესყიდვის გეგმა;
გ) სახარჯი მასალის შესყიდვის გეგმა;
დ) შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოთა გეგმა.
(სრული მასალა წარმოდგენილია ფაკულტეტების მიხედვით დანართი №4; №4.1 – №4.8).

5. მიმდინარე საკითხები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 თებერვლის სხდომის
ოქმი №29

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 71 წევრიდან, ესწრებოდა 44. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი. **წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.**

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. გენადი იაშვილი, პროფ. ნინო ნიკვაშვილი და სტუდენტი პაატა მალაზონია.

წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის პირველ საკითხს – სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის დაზუსტებული ვარიანტის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი. (იხ. დანართი №1, №1.1. – №1.10).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – მინდა გაუწყოთ, რომ სახელმწიფოდან გამოიყო მიზნობრივი თანხა 4 095 600 ლარი, რის შემდეგაც ჩვენ თავიდან გავწერეთ ბიუჯეტი. ამ თანხის ნაწილი წავიდა ხელფასების მომატებაზე და ნაწილი მაგალითად, სიახლეს წარმოადგენს ის, რომ გამოიყო – მეცნიერების განვითარებისთვის 100 000 (ასი ათასი) ლარი. ამ თანხის განკარგვის წესი და მეთოდიკა მომავალში გასაწერია. ამას გადაწყვეტს აკადემიური საბჭო. ასევე შესწორდა ფაკულტეტების ბიუჯეტებიც.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ჩვენ შევთანხმდით, რომ მეცნიერების განვითარებაზე გამოიყოფოდა 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ეს თანხა გაიზრდება მაშინ, თუკი ტენდერებიდან დაგვრჩება ფული.

სპიკერი – სხვა მოსაზრებები თუ არ არის ბიუჯეტის დანარჩენი მუხლების მიმართ, მაშინ კენჭი ვუყაროთ დღის წესრიგის პირველ საკითხს – სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის დაზუსტებული ვარიანტის დამტკიცებას.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 თებერვლის №29 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 თებერვლის №29 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის დაზუსტებული ვარიანტის დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტი და ფაკულტეტების ბიუჯეტები (იხ. დანართი №1; №1.1. – №1.10.).

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეორე საკითხს – სტუ-ს ადმინისტრაციის, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის, დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისა და შტატგარეშე მომუშავე თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების, ასევე დანამატების მატების საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი. (იხ. დანართი №2, №3, 3.1.).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – როგორც ხედავთ წარმოდგენილი საშტატო ნუსხიდან, აკადემიური პერსონალის გარდა, ყველას მოემატა ხელფასი. შემოსულია სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ზურაბ წვერაიძის განცხადება, ინჟინერ პროგრამისტებთან დაკავშირებით, რომ მათ არ შეიძლება ჰქონდეთ ლაბორანტზე ნაკლები ხელფასი. ინჟინერ პროგრამისტს აქვს ორასოთხმოცი ლარი, ხოლო ლაბორანტს – სამასოცდაათი ლარი.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ფაკულტეტების დეკანებმა მოითხოვეს არქივარიუსებისთვის ხელფასის მომატება, მე ვფიქრობ კომენდანტებსაც უნდა მოუმატოთ ხელფასი და გადავუხადოთ თუნდაც 350 (სამასორმოცდაათი) ლარი. მათ აქვთ დამლაგებლებზე ოცი ლარით მეტი, ისინი მატერიალური პასუხისმგებლები არიან კორპუსებზე.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – არქივარიუსის და ბიბლიოთეკარის ხელფასი უნდა იყოს გათანაბრებული. თუკი არქივარიუსს ექნება ბიბლიოთეკარზე მეტი, ეს გამოიწვევს ვნებათა ღელვას, ამიტომ გავათანაბროთ. კომენდანტს კი მივცეთ 350 (სამასორმოცდაათი) ლარი.

პროფ. ნოდარ ქაჯაია – მუზეუმის ხელმძღვანელს მოემატოს ოცი ლარი და გაუხდეს 400 ლარი. პასუხისმგებლობა დიდია და ვფიქრობ უნდა იყოს განსხვავება.

პროფ. დემურ დანელია – მიმართულების ხელმძღვანელი არის კათედრის გამგე. ის არის პასუხისმგებელი სასწავლო პროცესზე, გამოცდებზე და ჩათვლებზე. მათ აუცილებლად უნდა დავუნიშნოთ დანამატი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – როდესაც ჩატარდება კონკურსი და განისაზღვრება რეალური რაოდენობა, მათ მოემატებათ ხელფასი. წელს სექტემბრისთვის ვგეგმავთ მატებას, მხოლოდ აკადემიურ პერსონალზე.

პროფ. დავით ჯაფარიძე – სანამ საშტატო რესტრუქტურიზაციას გავაკეთებთ, უნდა მოველაპარაკოთ დეკანებს. დეკანატებშიც უნდა მოხდეს რესტრუქტურიზაცია. პროფესორის ხელფასი უნდა მივუახლოვოთ ყველა ხელმძღვანელის ხელფასს, გარდა ოთხი ხელმძღვანელისა. ამჯერად დაცული არ იყო რანგირების კოეფიციენტი.

საჭიროა მივხედოთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. შეთანხმებული სტრუქტურა ივლისის თვეში უნდა დავამტკიცოთ. მეცნიერების დასაქმების საკითხი რომ წამოიჭრა კარგია. გაზრდილია სტიპენდიის ხარჯები 300 000-დან (სამასი ათასიდან) 448 300 (ოთხასორმოცდარვა ათას სამასი) ლარამდე.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – მადლობას ვუხდი ბატონ დავითს დადებითი შეფასებისათვის. ხვალიდან დეკანები დაიწყებენ სტრუქტურაზე მუშაობას. სექტემბერში ჩვენ წარმოვადგენთ ზუსტ საშტატო განრიგს. საშტატო განრიგში შევიტანთ ცვლილებებს. შეთანხმების თანახმად კომენდანტს ნაცვლად სამასი ლარისა ექნება სამასორმოცდაათი ლარი, უფროს ინჟინერ პროგრამისტს ნაცვლად სამასი ლარისა ექნება სამასორმოცდაათი ლარი, ინჟინერ-პროგრამისტს ნაცვლად ორასოთხმოცი ლარისა ექნება სამასოცდაათი ლარი, არქივარიუსს ნაცვლად სამასი ლარისა, ექნება სამასოცდაათი ლარი, მუზეუმის ხელმძღვანელს ნაცვლად სამასოთხმოცი ლარისა ექნება ოთხასი ლარი. დანამატი ეძლევა 3 პიროვნებას – სპიკერს, აკადემიური საბჭოს მდივანს და სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარის მ/შ-ს. მათ ასევე მოემატება ხელფასზე დანამატი – სპიკერს ექნება ათასასი ლარი, აკადემიური საბჭოს მდივანს ხუთასორმოცდაათი ლარი, სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ხუთასი ლარი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს ადმინისტრაციის, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის, დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისა და შტატგარეშე მომუშავე თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების, ასევე სამი თანამშრომლის ხელფასზე დანამატის მატების საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 თებერვლის №29 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 თებერვლის №29 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ადმინისტრაციის, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის, დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისა და შტატგარეშე მომუშავე თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების, ასევე სამი თანამშრომლის ხელფასზე დანამატების ოდენობის მატების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს ადმინისტრაციის, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის, დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისა და შტატგარეშე მომუშავე თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების, ასევე სამი თანამშრომლის ხელფასზე დანამატების, ოდენობის მატება (იხ. დანართი №2, №3).

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მესამე საკითხს – სტუ-სთვის უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული მე-6 სასწავლო კორპუსის (მ. კოსტავას ქ. №77) შენობის ფასადზე არსებული 56.0 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – საუბარია მ. კოსტავას ქ. №77, მეექვსე სასწავლო კორპუსის ფასადზე (56.0 კვ.მ.), რომელიც გაიცემა სარეკლამო საქმიანობის მიზნით, ათი წლის ვადით. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა, სტუ-სთვის უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული მე-6 სასწავლო კორპუსის (მ. კოსტავას ქ. №77) შენობის ფასადზე არსებული, 56.0 კვ.მ. ფართის, იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება (აღნიშნული ფართი გაიცემა სარეკლამო საქმიანობის მიზნით, 10 წლის ვადით. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით).

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 თებერვლის №29 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 თებერვლის №29 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი, სტუ-თვის უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული მე-6 სასწავლო კორპუსის (მ. კოსტავას ქ. №77) შენობის ფასადზე არსებული 56.0 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემის დამტკიცების შესახებ (აღნიშნული ფართი გაიცემა სარეკლამო საქმიანობის მიზნით, 10 წლის ვადით. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით).

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-სთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული მე-6 სასწავლო კორპუსის (მ.კოსტავას ქ. №77) შენობის ფასადზე არსებული 56.0 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემა 10 წლის ვადით. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხს – სტუ-ს ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების, შესყიდვების მიზნობრივი პროგრამების დამტკიცება კერძოდ: კომპიუტერული ტექნიკის, საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების, სახარჯი მასალის შესყიდვის და შენობა-ნაგებობების, სარემონტო სამუშაოთა გეგმებს – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი. (იხ. დანართი №4, №4.1. – №4.8.).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ყველა შესყიდვის გეგმა წარმოდგენილია ფაკულტეტების მიზნობრივი პროგრამების სახით.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ჩვენ განვიხილეთ ეს პროგრამები ჩვენს კომისიაზე და მივეცით დადებითი დასკვნა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების საკითხი.

სტუ-ს ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების მიზნობრივ პროგრამებს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 თებერვლის №29 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 თებერვლის №29 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის,

ინვენტარისა და მოწყობილობების, სახარჯი მასალის, შენობა-ნაგებობების მიზნობრივი პროგრამების, დამტკიცების შესახებ, ფაკულტეტების მიხედვით.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს მიზნობრივი პროგრამები ფაკულტეტების მიხედვით (იხ. დანართი №4, №4.1. – 4.8.).

სპიკერი – დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და გადავიდეთ მიმდინარე საკითხებზე.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე არსებობდა ქართულ-ფრანგული ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის დაფინანსება ხდებოდა ფრანგული მხრიდან. ეხლა ისინი გადადიან თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ითხოვენ ნებართვას, რომ წაიღონ ის ტექნიკა, რომელიც თვითონ მათ მიერ არის შეძენილი.

სტუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი ბ-ნ გია ნადარეიშვილი – მოგახსენებთ, რომ ამ ტექნიკის ნაწილი მათ მიერ შეძენილია თხოვების და ჩუქების წესით, ხოლო მეორე ნაწილი მათი გადმორიცხული თანხებით.

პროფ. გენადი იაშვილი – ეს ინსტიტუტი უნდა შემოერთებოდა ჩვენს ფაკულტეტს და ვადასტურებ, რომ ყველაფერი ფრანგული მხარის მიერ იქნა შეძენილი. ამასთან ის ტექნიკა რაც მათ აქვთ, არ არის ძალიან ღირებული.

პროფ. დავით ჯაფარიძე – როგორც ამ ტექნიკას გადავცემთ, კავკასიის ბიზნეს სკოლა მოითხოვს, რომ მოსაცემი თანხა ჩავუთვალოთ ნაყიდ ტექნიკაში.

სპიკერი – ვინ არის მომხრე ჩვენს ბალანსზე რიცხული ქონება, არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით გადაეცეს ამ ინსტიტუტს უსასყიდლოდ (იხ. დანართი №5).

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 თებერვლის №29 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 თებერვლის №29 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ

წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ქართულ-ფრანგული ინსტიტუტისათვის, მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) მიერ 2002 წელს შეძენილი ინვენტარის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი. ქართულ-ფრანგული ინსტიტუტი, 2008-09 სასწავლო წლიდან, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში გადასვლასთან დაკავშირებით, ითხოვს აღნიშნული ქონების (ინვენტარის) მათთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა ქართულ-ფრანგული ინსტიტუტისათვის, სტუ-ს ბალანსზე რიცხული ქონების (ინვენტარის) საკუთრებაში, უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი, არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით (იხ. დანართი №5).

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი /გინა გურეშიძე/